ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ მაისი _____ 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
(მდებარე ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა №20)
პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ,
სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტის, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის 2024 წლის 15 მაისის №5/26526 და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის ---- მაისის ---------- წერილობითი მომართვების შესაბამისად:

მუხლი 1. გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ, საკუთრებაში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საკალათბურთე აკადემია დოლასათვის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №412784955) უსასყიდლო აღნაგობის უფლებით 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით გადაცემის მიზნით, უძრავ ქონებაზე თანამედროვე სახის საკალათბურთე დარბაზის მშენებლობისათვის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ: ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა №20-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი №03.05.22.927; ფართობი: 5295.00 კვ.მ).

მუხლი 2. თუ აღნიშნულ უძრავ ქონებაზე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საკალათბურთე აკადემია დოლა“ (საიდენტიფიკაციო კოდის №412784955) არ განახორციელებს საკალათბურთე დარბაზის მშენებლობას, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებამოსილებას, სახელმწიფოსაგან უძრავი ქონების (მდებარე ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა №20; საკადასტრო კოდი №03.05.22.927; ფართობი - 5295კვ.მ) დაბრუნების მოთხოვნით.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქონების გადაცემის მიზნით, უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
(მდებარე ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა №20)
პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ,
სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს მომართა N5/26526; 15.05.2024წ.) სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ" რომელიც შეეხება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა N20-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ N03.05.22.927; ფართობი - 5295კვ.მ) სახელმწიფოს საკუთრებაში გადმოცემის შესახებ პოზიციის მოწოდებას, შპს „საკალათბურთე აკადემია დოლასათვის" (ს.ნ 412784955) უსასყიდლო აღნაგობის უფლებით, 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით გადაცემის მიზნით.

ქალაქ ქუთაისისათვის მნიშვნელოვანია საკალათბურთე სპორტი და პრიორიტეტულია ამავე სპორტის განვითარებისათვის ხელშეწყობა. ქალაქ ქუთაისის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა N20-ში მდებარე უძრავი ქონება (ს/კ N03.05.22.927; ფართობი - 5295კვ.მ) შპს „საკალათბურთე აკადემია დოლასათვის" (ს.ნ 412784955) უსასყიდლო აღნაგობის უფლებით 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით გადაცემის მიზნით, უძრავ ქონებაზე თანამედროვე სახის საკალათბურთე დარბაზის მშენებლობისათვის.

თუ აღნიშნულ უძრავ ქონებაზე შპს „საკალათბურთე აკადემია დოლა" (ს.ნ 412784955) არ განახორციელებს საკალათბურთე დარბაზის მშენებლობას, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებამოსილებას, სახელმწიფოსაგან უძრავი ქონების (მდებარე ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა N20; ს/კ N03.05.22.927; ფართობი - 5295კვ.მ) დაბრუნების მოთხოვნით.

საქართველოს კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 108-ე მუხლის (**მუხლი 108** – მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სახელმწიფოსათვის ან/და ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა) პირველი პუნქტის შესაბამისად - „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, მათ შორის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (შენობა-ნაგებობით ან მათ გარეშე), აგრეთვე წილები/აქციები (გარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი (განუსხვისებელი) ქონებისა) სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცემა „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ქონების მმართველის დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე, ავტონომიურ რესპუბლიკას - ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიმართვის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, ხოლო თბილისის შემთხვევაში - თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებით". ამავე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, ამავე პუნქტის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნაზე დასაბუთებულ დადებით ან უარყოფით გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

განკარგულების პროექტს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე წარმოადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თინათინ ბერიშვილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი